ხელშეკრულება № 273

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი **8 აპრილი 2022 წ.**

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ტარიელ ჭანტურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯი თი მოტორს“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნტქის ,,თ" ქვეპუნქტი.

1.2. დაფინანსების წყარო: “დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის ფარგლებში”.

2. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

2.1.ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: საკუთრებაში არსებული FORD RANGER, FORD WAGON, FORD TOURNEO COURIER, FORD TRANSIT სახელმწიფონომრით (FORD RANGER OO-235-FO, FORD WAGON OO-224-FO, FORD TOURNEO COURIER MM_874_OM, FORD TRANSIT FT_326_FT, FT_325_FT) ტექნიკური მომსახურება „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ (შემდგომში ,,მომსახურება“) შესყიდვა (CPV50100000), დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8000.00 (რვაათასი) ლარს ყველა გადასახადის გათვალისწინებით, დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 44720.30 (ორმოცდაოთხიათას შვიდასოცი ლარი და 30 თეთრი), (დღგ-ს ჩათვლით).

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებლის მიერ გაწეული „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას გათვალისწინებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. „მომსახურების“ მიწოდების ვადა: ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 „მომსახურების“ გაწევის ადგილი: მიმწოდებლის სერვისცენტრი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „მომსახურების“ მიწოდებას განახორციელებს უშუალოდ „მიმწოდებელი", მან მომსახურების მიწოდების შემდგომ, უნდა წარუდგინოს „შემსყიდველს“ მის სახელზე შედგენილი და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. კერძოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ატვირთოს საგადასახადო ა/ფაქტურა, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს იგი.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება მიმწოდებლის მიერ გაწეული „მომსახურების“ უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს წუნდებული „მომსახურეობის“ გამოსწორებას.

6.3 ინსპექტირებაზე და მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი: ტექნიკური უზრუნველყოფის

სამმართველოს უფროსი კახაბერ ფირცხალაიშვილი და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მიხეილ მარტაშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
7.2 ანგარიშსწორება - ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული „მომსახურებისა" და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:
8.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
8.1.2. წინასწარ, 1(ერთი) თვით ადრე აცნობოს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება",რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას.
8.2.2 წინასწარ, 1(ერთი) თვით ადრე აცნობოს ,,შემსყიდველს" ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.
8.2.4. მომსახურების ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმტანის ტრანსპორტირების და ჭურჭლის (არაერთჯერადი) ღირებულებას.
8.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:
8.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულება.
8.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.
8.3.3 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლის" ქმედების გამო იგი დგება იმ ფაქტის წინაშე, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, ამასთან მოითხოვოს ზარალის სრული და დროული ანაზღაურება.
8.4 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
8.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული „მომსახურების" ღირებულების სრული ანაზღაურება.
8.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.
8.4.3 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
8.4.4 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია „შემსყიდველის" მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების/ანგარიშსწორების ვადების გადაცდენის, ან მიწოდების ვადების გაუარესების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.
9.2. ხელშეკრულების 7-ე, მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევათა გარდა, სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს

ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარის მიმართ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
10.2. „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება".
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
11.3.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.
11.3.2 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.3 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით რომელსაც დაადასტურებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.
12.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1„შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობებისდარღვევისათვის

17.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

17.2 ამასთან, მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით სრულად მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

18. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

18.1 „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

18.2 კონტროლისას გამოვლენილ ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

19.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

19.4 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

20. განსაკუთრებული შენიშვნები

20.1 ხელშეკრულება შედგენილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

21. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ.
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
მის: თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99
ს/კ: 211324351
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ა/ნ: GE24NB0330100200165022
გენერალური დირექტორის მოადგილე:

ტარიელ ჭანტურიძე

_____

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health

Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2022.04.08 17:01:00 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „ჯი თი მოტორს“
მის: თბილისი, დ.აღმეშენებლის
ხეივანი #155
ს/ნ 206276340
ს.ს საქართველოს ბანკის კოდი:
BAGAGE22
ა/ა GE89BG0000000247624300

გენერალური დირექტორი
თემურ უსტიაშვილი

_____

GT MOTORS LTD

Подписано цифровой подписью: GT MOTORS LTD
Дата: 2022.04.08 17:20:37 +04'00'

დანართი #1

გარბენი კმ.	courier- 1.5D	განზომილება	რ-ბა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება	შესასრულებელი სამუშაოს რ-ბა ლარი
10000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
10000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
20000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
20000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
20000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	75	75.00	10.00
20000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	81	81.00	15.00
20000	სალონის ფილტრი	ცალი	1	92	92.00	15.00
20000	წინა ხუნდები	ცალი	1	293	293.00	28.00
30000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
30000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
40000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
40000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
40000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	75	75.00	10.00
40000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	81	81.00	15.00
40000	სალონის ფილტრი	ცალი	1	92	92.00	15.00
40000	წინა ხუნდები	ცალი	1	293	293.00	28.00
50000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
50000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
60000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
60000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
60000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	75	75.00	10.00
60000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	81	81.00	15.00
60000	სალონის ფილტრი	ცალი	1	92	92.00	15.00
60000	საყრდენი დისკი წინა 2 ც	ცალი	2	235	470.00	90.00
60000	წინა ხუნდები	ცალი	1	293	293.00	
70000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
70000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
80000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
80000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
80000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	75	75.00	10.00
80000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	81	81.00	15.00
80000	სალონის ფილტრი	ცალი	1	92	92.00	15.00
80000	წინა ხუნდები	ცალი	1	293	293.00	28.00

90000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
90000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
90000	უკანა ხუნდები დოლურა	ცალი	1	394	394.00	40.00
100000	Castrol 0w30	ლიტრი	6.2	25	155.00	20.00
100000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	46	46.00	
100000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	75	75.00	10.00
100000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	81	81.00	15.00
100000	სალონის ფილტრი	ცალი	1	92	92.00	15.00
100000	წინა ხუნდები	ცალი	1	293	293.00	28.00
	ჯამი				**5579.00**	**642.00**
	სულ ჯამი				**6221.00**	

	FORD Courier 1.0			
№	**სათადარიგო ნაწილის/მომსახურების დასახელება**	**ზ/ე**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**ერთეულზე მომსახურების ფასი (ლარი)**
1	უკანა საყრდენი დისკი (ბარაბანი)	ცალი	625.00	75.00
2	სტაბილიზატორი (სუხოი) წინა	ცალი	387.00	84.00
3	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი	ცალი	27.00	42.00
4	საჭის წევა	ცალი	364.00	75.00
5	საჭის წევის დაბოლოება	ცალი	224.00	75.00
6	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კომპ.	523.00	28.00
7	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	კომპ.	378.00	40.00
8	სამუხრუჭე დისკის (მოხეხვა)	ცალი	0.00	37.50
9	წყლის ტუმბო (პომპა)	ცალი	719.00	156.00
10	წყლის რადიატორი	ცალი	969.00	60.00
11	წყლის გამაფართოვებელი ცილინდრი (ავზი)	ცალი	146.00	30.00
12	თერმოსტატი	ცალი	247.00	72.00
13	წყლის გამაგრილებელი ფრთოვანა (ვენტილიატორი)	კომპ	1265.00	75.00
14	ელექტროსისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკა	ცალი	0.00	75.00
15	გენერატორი	ცალი	2155.00	150.00
16	გენერატორის ღვედი	ცალი	75.00	54.00
17	მაშუქების (ფარების) გადამრთველი	ცალი	450.00	15.00
18	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი)	ცალი	229.00	15.00
19	"გაბარიტის" ნათურა	ცალი	22.00	15.00
20	ნისლ საწინააღმდეგო მაშუქის ნათურა	ცალი	229.00	15.00
21	უკანა მაშუქის ნათურა 2კონტაქტიანი	ცალი	22.00	15.00
22	მქნევარა (მახავიკი)	ცალი	1314.00	375.00
23	გადაბმულობის ქურო დისკი კ-ტი	ცალი	1019.00	375.00
24	მექანიკური კოლოფის გადაბმულობის საკისარი	ცალი	342.00	375.00
25	კონდიციონერის ფილტრი (სალონის)	ცალი	120.00	15.00
26	თვლების განშლისა და შეყრის კუთხის გასწორება	ცალი	0.00	40.00

27	დისკის ჭანჭიკი	ცალი	30.00	0.00
28	ჰაერის ფილტრი	ცალი	97.00	10.00
29	მინის საწმენდი ჩოთქები (კომპლ)	ცალი	140.00	15.00
30	საბურავის მოხსნა/დაყენება	ცალი	0.00	15.00
31	გერმეტიკი	ცალი	114.00	0.00
32	ტაოტი (კოლოფი)	ცალი	325.00	0.00
33	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	55.00	20.00
34	ძრავის ზეთი 5W20	ლიტრი	35.00	0.00
35	წინა საყრდენი დისკი	ცალი	393.00	90.00
	ჯამი		**13040.00**	**2533.50**
	სულ ჯამი		**15573.50**	

	FORD TRANSIT, დიზელი,: 2.0			
№	**სათადარიგო ნაწილის/საცხებ-საპოხი მასალის/მომსახურების დასახელება**	**ზ/ე**	**ერთეული სათადარიგო ნაწილის ფასი (ლარი)**	**ერთეული მომსახურების ფასი (ლარი)**
1	ძრავის ზეთი 0W-30 (ერთ შეცვლაზე საჭ. 8.3 ლ)	ლიტრი	40.00	20.00
2	ზეთის ფილტრი	ცალი	55.00	
3	ჰაერის ფილტრი	ცალი	73.00	10.00
4	სალონის ფილტრი	ცალი	102.00	15.00
5	საწვავის ფილტრი	ცალი	204.00	15.00
6	წინა ხუნდები	კომპ	503.00	28.00
7	უკანა ხუნდები	კომპ	477.00	40.00
8	უკანა ხუნდების სენსორი	ცალი	144.00	0.00
9	წინა საყრდენი დისკი	ცალი	386.00	90.00
10	უკანა საყრდენი დისკი	ცალი	481.00	90.00
11	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	36.00	75.00
12	ელ-დიაგნოსტიკა	საათი	0.00	75.00
13	მინის საწმენდი - მარცხენა	ცალი	118.00	15.00
14	მინის საწმენდი - მარჯვენა	ცალი	118.00	15.00
15	წინა ამორტიზატორი	ცალი	552.00	84.00
16	უკანა ამორტიზატორი	ცალი	393.00	90.00
17	უკანა რესორი	ცალი	1424.00	105.00
18	კოლოფის ზეთი (WSS-M2C938-A)	ლიტრი	182.00	75.00
19	თვლის ნახარის გასწორება	ცალი	0.00	40.00
20	საბურავის დაშლა აწყობა	ცალი	0.00	15.00
21	საბურავის ბალანსირება	ცალი	0.00	10.00
22	ჰიდრავლიკის ნასოსი	ცალი	3290.00	240.00
23	სამუხრუჭე დამწოლი ცილინდრი უკანა	ცალი	1257.00	60.00
24	სამუხრუჭე დამწოლი ცილინდრი წინა	ცალი	1122.00	60.00
25	საწვავის სისტემის რეგენერაცია	ცალი	0.00	150.00
26	საწვავის დანამატი "ADBLUE"	ლიტრი	15.00	6.00
27	სავალი ნაწილის შემოწმება	ცალი	0.00	37.50
	ჯამი		**10972.00**	**1460.50**

	სულ ჯამი		12432.50

	FORD RANGER 2.2MT				
#	ძირითადი დეტალების და სამუშაოების დასახელება	ერთეულის ზომა	შემოთავაზებული სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასი	შემოთავაზებული ერთეულზე გაწეული მომსახურების ფასი	
1	საბურავის დ/ა; ბალანსირება	ცალი	0.00	15.00	
2	წინა სტაბილიზატორის მილისა (სუხოი რეზინები)	ცალი	52.00	37.50	
3	წინა სტაბილიზატორი (სუხოი)	ცალი	1082.00	67.50	
4	უკანა მაშუქის ნათურა	ცალი	51.00	15.00	
5	ნისლის მაშუქის ნათურა	ცალი	138.00	15.00	
6	მოხვევის მაჩვენებელი ნათურა	ცალი	20.00	10.00	
7	საქარე მინის საწმენდი რეზინები მარჯვენა	ცალი	110.00	15.00	
8	გენერატორის ღვედი	ცალი	270.00	75.00	
9	გაბარიტის ნათურა	ცალი	9.00	10.00	
10	საქარე მინის საწმენდი რეზინები მარცხენა	ცალი	110.00	15.00	
11	წინა მაშუქის ჰალოგენი	ცალი	138.00	15.00	
12	ანტიფრიზი	ლიტრი	25.00	0.00	
13	სალონის საფენი რეზინები (კოვრიკები)	კომპ-ტი	575.00	0.00	
14	სავალი ნაწილის შემოწმება	ცალი	0.00	37.50	
15	კარტერის ბოლტი	ცალი	47.00	0.00	
16	ელექტრო დიაგნოსტიკა	ცალი	0.00	75.00	
17	რესორების შეპოხვა	კ-ტი	0.00	150.00	
18	თვლის ნახარის გასოწრება	ცალი	0.00	40.00	
19	**სამუხრუჭე სისტემა**				
20	სამუხრუჭე დისკი წინა	ცალი	716.00	90.00	
21	სამუხრუჭე სითხე DOT4	ლიტრი	36.00	93.75	
22	სამუხრუჭე დისკი უკანა	ცალი	1385.00	90.00	
23	**გადაცემათა კოლოფი**				
24	გადაბმულობის ქურო დისკი	კ-ტი	1867.00	375.00	
25	გადაბმულობის დამწოლი საკისარი (ვიჟიმნოი)	ცალი	570.00	375.00	
26	**გეგმიური მოსმახურება**				გარბენი
27					
28	ძრავის ზეთი	ლიტრი	25.00	20.00	ყოველ 10 000 კმზე
29	ზეთის ფილტრი	ცალი	69.00		ყოველ 10 000 კმზე
30	ჰაერის ფილტრი	ცალი	244.00	10.00	ყოველ 20 000კმზე
31	წინა ხუნდები	კომპლექტი	502.00	28.00	ცვეთის მიხედვით.

32	უკანა ხუნდები	კომპლექტი	416.00	40.00	ცვეთის მიხედვით.
33	საწვავის ფილტრი	ცალი	179.00	15.00	ყოველ 20 000კმზე
34	სალონის ფილტრი	ცალი	113.00	15.00	ყოველ 20 000კმზე
	ჯამი		**8749.00**	**1744.25**	
	სულ ჯამი		**10493.25**		

სულ პრეისკურანტის ჯამი 44720.30 ლარი

გენერალური დირექტორი ---------- თემურ უსტიაშვილი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 8) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების (მუხლი 8) შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, შპს „ჯი თი მოტორს“-სთან ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზები: ო. ნამიჭეიშვილი

გ. ქობალია

ნ. მარჯანიძე-თორაძე

ლ. ებანოიძე

კ. გულუა

კ. ფირცხალაიშვილი

მ. მარტაშვილი

ა. მეტრეველი

შემსრულებელი: დ. ნოზაძე